საქართველოს უნივერსიტეტი

დოქტორანტურის დებულება

თავი I. სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა

მუხლი 1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

1. დოქტორანტურა წარმოადგენს აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სამეცნიერო კადრის მომზადებას, ახალი ცოდნის შექმნას ან/და არსებული ცოდნის განვითარებას, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობას ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა.

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „დოქტორანტურის პროგრამა“) სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს, რაც ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას.

3. დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.

მუხლი 2. მიღების წინაპირობები

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ აკრედიტებული სადოქტორო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სკოლის პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, მთავარი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი დოქტორანტურის პროგრამაზე სტუდენტის მიღების მიზნით შესაბამის პროგრამის ხელმძღვანელთან წერილობითი ფორმით შეთანხმებულ მის საკვლევ პროექტს წარუდგენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად ამოწმებს წინამდებარე დებულების მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას; თუ საკვლევი პროექტის ხელმძღვანელი და პროგრამის ხელმძღვანელი ერთი და იგივე პირია, მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას ამოწმებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საკვლევი პროექტი გადაეგზავნება სკოლის

საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას საკვლევი პროექტის გამოცხადების შესახებ და თითოეულ საკვლევ პროექტთან მიმართებაში ამტკიცებს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას. სკოლის საბჭო გადაწყვეტილებას აცნობებს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დოკუმენტების წარდგენის ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებამდე 45 დღით ადრე. ვებ-გვერდზე განთავსებულია უნივერსიტეტის/შესაბამისი სკოლის მიერ დოქტრანტის მიერ წარსადგენი კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები (დანართი N1 - კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები, დანართი N 2 - სადოქტორო ნაშრომის კონცეფციის წარდგენის ფორმა და შეფასების კრიტერიუმები სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში, დანართი N 3 - კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში).

2. დოქტორანტურის პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით დაინტერესებული პირის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია შემდეგ ვადებში:

ა) შემოდგომის სემესტრისათვის - 1 აპრილიდან - 15 მაისამდე;

ბ) გაზაფხულის სემესტრისათვის - 1 ოქტომბრიდან- 15 ნოემბრამდე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადებისგან განსხვავებული ვადების დადგენა შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

4. დოქტორანტურის პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით დაინტერესებულმა პირმა საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერთან უნდა წარმოადგინოს:

ა) პროფესიული რეზიუმე (პროგრამის განხორციელების ენაზე შესრულებული)

ბ) ფოტოსურათი 3X4;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში პასპორტის/ბინადრობის ნებართვის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ან ბინადრობის მოწმობა და შესაბამისი დოკუმენტის ასლი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული;

ე) ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატი ან დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით საზღვარგარეთ ინგლისურენოვანი ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი და მათი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან დაინტერესებულმა პირმა უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ დაწესებული შიდა <u>გამოცდა ინგლისურ ენაში.</u> ინგლისურ ენაში კომპეტენციის მინიმალური ზღვარი არის მაქსიმალური შეფასების 60%. ინგლისური ენის ნაცვლად სხვა უცხო ენის ცოდნის

შემთვევაში, უნდა დადასტურდეს არანაკლებ B2 დონის ცოდნა და ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე. ამ შემთხვევაში, აღნიშნული უცხოური ენის მიმართ ვრცელდება ამ დებულებით ინგლისურ ენასთან დაკავშირებით დადგენილი რეგულაცია.

ვ) მაგისტრის დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის დედანი ანდა მათი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი; იმ შემთხვევაში, თუ დიპლომი არ არის გაცემული საქართველოში, უცხოეთში მიღებული განათლება აღიარებული უნდა იქნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სამართალმცოდნეობის დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

ზ) კვლევის კონცეფცია;

ი) შესაბამის სფეროში არსებული წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნული უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას.

კ) შესაბამისი სამეცნიერო დარგის პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/სამეცნიერო პერსონალის ან/და საქართველოს უნივერსიტეტის ემერიტუსის სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი სკოლის საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონულად, CD-ზე.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ბოლო ვადის მომდევნო სამუშაო დღეს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი აცნობებს დაინტერესებულ პირს ინგლისური ენის/სხვა უცხოური ენის გამოცდის ჩატარების თარიღის შესახებ, რომელიც არ უნდა ჩატარდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ბოლო ვადიდან არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი დაინტერესებულ პირს ინგლისური ენის/სხვა უცხოური ენის გამოცდის შედეგს აცნობებს ს გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანე 5 სამუშაო დღეში. გამოცდის შედეგის გასაჩივრების ვადა არის შედეგის გაცნობიდან 2 სამუშაო დღე. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი დაინტერესებულ პირს გასაჩივრების შედეგს აცნობებს გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღეში. სკოლის საბჭოს წარედგინება მხოლოდ ინგლისური ენის/სხვა უცხოური ენის გამოცდაში დადებითი შეფასების მქონე დაინტერესებული პირის დოკუმენტაცია.

7. ამ მუხლის შესაბამისად რომელიმე დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს დამატებით ვადას დოკუმენტის დადგენილი წესით წარმოსადგენად. დოკუმენტის წარდგენის ვადა უნდა იყოს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღესა.

8. დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერის მიერ გადაეცემა შესაბამისი სკოლის საბჭოს შემდგომი განხილვისთვის წინამდებარე დებულებით დადგენილ ვადებსა და დადგენილი წესით წარდგენის შემთხვევაში.

მუხლი 3. სწავლის უფლების მოპოვება

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი შესაბამის სკოლას ელექტრონული მატარებლებით გადასცემს მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციას. სკოლის შესაბამისი ერთეული 5 სამუშაო დღის ვადაში იწვევს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს, რომელიც ეცნობა კონცეფციას და იღებს გადაწყვეტილებას კონცეფციის წარდგენასთან დაკავშირებით, განსაზღვრავს ასევე კონცეფციის წარდგენის თარიღს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღეს. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს.

2. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი აცნობებს დაინტერესებულ პირს და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს კონცეფციის წარდგენის თარიღს.

3. კონცეფციის წარდგენა ხდება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს კონცეფციის შეფასების კრიტერიუმებით. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია საკვლევი თემატიკის ხელმძღვანელის თანხმობა. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდებას და შედეგს 5 სამუშაო დღეში აცნობებს სკოლის საბჭოს. დოქტორანტურის პროგრამაზე დაინტერესებული პირის მიერ სწავლის უფლების მოპოვების თაობაზე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილება, 2 სამუშაო დღის ვადაში ფორმდება სკოლის საბჭოს ოქმით.

4. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის ინფორმირებას დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვების თაობაზე და სკოლის საბჭოს ოქმის შედგენიდან 7 სამუშაო დღეში დაინტერესებულ პირთან საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ვადით შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 სამუშაო დღეში გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება დოქტორანტის პროგრამაზე

ჩარიცხვის შესახებ. აღნიშნულ ვადაში ხელშეკრულების გაუფორმებლობის ან დაინტერესებული პირის მიერ ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება არ გამოიცემა და დაინტერესებული პირი კარგავს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების/პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

5. მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნისა და სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნისა) ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 4. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. დოქტორანტი ვალდებულია უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოადგინოს ერთი სემესტრის - საშუალოდ 30 კრედიტის (საშუალოდ წლიურად იგულისხმება 60 კრედიტი) სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ყოველ მომდევნო სასწავლო სემესტრზე ადმინისტრაციული რეგისტრაცია ხორციელდება რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში.

2. ამ მუხლით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, დოქტორანტს შეუჩერდება დოქტორანტის სტატუსი.

3. გადახდილი სწავლის საფასური დოქტორანტს არ უბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტატუსის შეწყვეტა განხორციელდა სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 4 კვირისა. თანხის დაბრუნების მოთხოვნით განცხადებით მომართვისას, სასწავლო წლის დაწყებამდე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, უნივერსიტეტს უნარჩუნდება წლიური საფასურის 30%, ხოლო დაწყებიდან ოთხი კვირის ვადაში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში - 50 %. შეჩერებული სტატუსის მქონე დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, თანხის დაბრუნების მოთხოვნით განცხადებით მომართვისას, მხედველობაში მიიღება სტუდენტის სტატუსის შეჩერების თარიღი.

4. უნივერსიტეტის ღირსების კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტისას, დოქტორანტს მის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური უკან არ უბრუნდება.

5. სწავლის საფასურის გადახდისგან ნაწილობრივ/მთლიანად გათავისუფლებას ან გადახდის გადავადების საკითხს განიხილავს სოციალურ საკითხთა კომისია.

6. სწავლის საფასურის გადახდის ვადის გადაცილებიდან 3 კვირის ვადაში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეუჩეროს დოქტორანტს სტუდენტის სტატუსი.

7. იმ დოქტორანტებზე, რომელთაც სოციალურ საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილი აქვთ გადახდის გრაფიკი, არ ვრცელდება ამ

დებულებით განსაზღვრული სანქცია (სტუდენტის სტატუსის შეჩერება), თუ ისინი ასრულებენ სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ დადგენილ გადახდის გრაფიკს.

მუხლი 5. გადაყვანის წესით ჩარიცხვა (მობილობა)

1. მობილობით ჩარიცხვის კანდიდატი ვალდებულია უნივერსიტეტს, ამ დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა, დამატებით წარუდგინოს:

ა) დოქტორანტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);

ბ) ამონაწერი დოქტორანტის ჩარიცხვის ბრძანებიდან;

გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან.

2. სამართალმცოდნეობის დოქტორანტურის პროგრამაზე უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხვის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

3. კრედიტების აღიარების კომისია ადგენს დოქტორანტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას მობილობისთვის არჩეულ პროგრამის შედეგებთან და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს დოქტორანტს ჩაბარებული/გავლილი კომპონენტების სილაბუსების წარმოდგენა ან/და გამოცდის ჩაბარება.

4. მობილობის მსურველი სტუდენტი გადის კონცეფციის დაცვისათვის ამ დებულებით დადგენილ ყველა ეტაპს.

5. თუ მობილობის მსურველი სტუდენტი უნივერსიტეტში მობილობის შემთხვევაში არ იცვლის მიმართულებას/თემას, ის უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მისი სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი გამოთქვამს თანხმობას იყოს სტუდენტის თანახელმძღვანელი უნივერსიტეტში დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლების პერიოდში და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში ამ დებულების შესაბამისად, ან:

ბ) მისი სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი წერილობითი ფორმით განაცხადებს, რომ პრეტენზია არა აქვს საკუთარი ინტელექტუალური საკუთრების უფლებებზე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები არ გამოიყენება მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ მიმართულების/თემის შეცვლის შემთხვევაში.

მუხლი 6. სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (შიდა მობილობა)

1. შიდა მობილობა ხორციელდება ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე. დამატებითი პირობები დგინდება რექტორის ბრძანებით.

2. შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას დოქტორანტის სწავლის საფასური განისაზღვრება მობილობით არჩეულ პროგრამაზე არსებული მიმდინარე საფასურით.

3. კრედიტების აღიარების კომისია ადგენს დოქტორანტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა და პროგრამაზე ჩარიცხვის კრიტერიუმების თავსებადობას შიდა მობილობისთვის არჩეულ პროგრამასთან.

4. სამართალმცოდნეობის დოქტორანტურის პროგრამაზე შიდა მობილობით გადასვლის/ჩარიცხვის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

5. სტუდენტი სხვა დოქტორანტურის პროგრამაზე შიდა მობილობით გადასვლის/ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებს მხოლოდ ამ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვეული პირობების დაკმაყოფილებისას.

მუხლი 7. დოქტორანტის საიდენტიფიკაციო ბარათი და პირადი მონაცემები

1. დოქტორანტს გადაეცემა საიდენტიფიკაციო ბარათი უნიკალური ნომრით, რომელიც დოქტორანტის საშვია უნივერსიტეტში და მის ელექტრონულ სამომხმარებლო არეში („ჩემი UG“).

2. „ჩემი UG“ იძლევა სასწავლო პროცესთან (საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, შეფასებები, საგამოცდო ცხრილი, გაცდენები და სხვა) ან/და სტუდენტურ ცხოვრებასთან (სტუდენტური კლუბები, ღონისძიებები და სხვა) დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას. დაუშვებელია სხვა სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათით ან უნიკალური ნომრით სარგებლობა.

3. საიდენტიფიკაციო ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია მიმართოს უსაფრთხოებოს სამსახურს განცხადებით. საიდენტიფიკაციო ბარათის აღდგენის ღირებულება დგინდება რექტორის ბრძანებით.

4. პირადი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი) შეცვლის შემთხვევაში, დოქტორანტის განცხადების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მონაცემებს ცვლის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

5. დოქტორანტი ვალდებულია საკონტაქტო მონაცემების (მისამართის, ტელეფონის ნომრის ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართის) შეცვლის შემთხვევაში ერთი კვირის ვადაში დააფიქსიროს ცვლილება „ჩემი UG“-ის მეშვეობით.

6. მონაცემების წარმოუდგენლობის ან „ჩემი UG“ პაროლზე მესამე პირების დაშვების გამო დამდგარ უარყოფით შედეგზე უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას.

7. დოქტორანტის შესახებ ინფორმაციის მესამე პირებზე გაცემა დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 8. ინფორმაციის მართვა

1. უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისათვის ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა განხორციელდეს ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით, რომელიც ითვლება ოფიციალურ შეტყობინებად. სტუდენტი ვალდებულია დროულად გაეცნოს უნივერსიტეტის შეტყობინებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას დამდგარ უარყოფით შედეგზე.

2. დოქტორანტის განცხადება შესაძლებელია მიღებული იქნას ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით. ინფორმაცია განცხადების სტატუსის შესახებ ხელმისაწვდომია განმცხადებლისთვის.

თავი II. აკადემიური რეგისტრაცია

მუხლი 9. აკადემიური რეგისტრაცია

1. თითოეული პროგრამის სილაბუსის მიხედვით გაწერილია სემესტრული დატვირთვა: სასწავლო კომპონენტების და კვლევითი კომპონენტების შეთავაზებული გრაფიკი, რომელიც ყოველი სემესტრის დასაწყისში დოქტორანტს „my ug“-ის სისტემის მეშვეობით მიეწოდება.

2. დოქტორანტი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად რეგისტრირდება შესაბამის კომპონენტ(ებ)ზე სემესტრის დაწყებიდან 1 კვირის განმავლობაში; ამავე პერიოდში მას უფლება აქვს დამატებით აირჩიოს ან გააუქმოს სასწავლო/კვლევითი კომპონენტები.

თავი III. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლა;

ბ) სტუდენტის მიერ აკადემიური რეგისტრაციის არ გავლა;

გ) დებულებით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან/და პირადი საქმიდან დოკუმენტის გამოთხოვის შემთხვევაში, მისი დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობა;

დ) სტატუსის შეჩერება პირადი განცხადებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას სტუდენტს ენახება გადახდილი სწავლის საფასური შემდეგ შემთხვევებში:

ა) სრულად, თუ სტატუსის შეჩერების შესახებ უნივერიტეტს განცხადებით მიმართა სასწავლო წლის დაწყებიდან ოთხი კვირის განმავლობაში;

ბ) წლიური სწავლის საფასურის ნახევარი, თუ სტატუსის შეჩერების შესახებ უნივერიტეტს განცხადებით მიმართა სასწავლო წლის დაწყებიდან ოთხი კვირის შემდეგ, მაგრამ სემესტრის დასრულებამდე;

გ) წლიური სწავლის საფასურის მეოთხედი, თუ სტატუსის შეჩერების შესახებ უნივერიტეტს განცხადებით მიმართა მეორე სემესტრის დაწყებიდან პირველი ოთხი კვირის განმავლობაში;

3. მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებზე (გარდა შიდა მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტებისა) ამ მუხლით გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება ჩარიცხვის ბრძანების თარიღიდან.

4. შენახული სწავლის საფასურის გამოყენება სტუდენტს შეეძლება საქართველოს უნივერსიტეტში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში.

მუხლი 11. გაცვლითი სტუდენტის სტატუსი

1. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი არის საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აგროვებს კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. გაცვლითი საგნამანათლებლო პროგრამის სტუდენტი არ ითვლება უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.

3. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტი კრედიტების აღიარების კომისიის დასკვნის საფუძველზე.

4. გაცვლითი სტატუსის მქონე სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე აღიარებული კრედიტების გათვალისწინებით.

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება შემდეგ ვადებში:

ა) შემოდგომის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 20 მაისიდან 30 ივნისამდე.

ბ) გაზაფხულის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 30 სექტემბრიდან 24 დეკემბრამდე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადებისგან განსხვავებული ვადების დადგენა შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

3. სტატუსის აღდგენის წინაპირობაა:

ა) სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუ სტატუსის შეჩერების საფუძველი ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იყო;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრა, თუ სტუდენტი აღდგენის მოთხოვნით მიმართავს უნივერსიტეტს.

4. სტუდენტს სტატუსი არ აღუდგება, თუ არსებობს ამ დებულებით გათვალისწინებული სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ დოქტორანტურის იმავე პროგრამაზე, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში, ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნას წინამდებარე დებულების მე-16 მუხლით დადგენილი თანაფარდობა.

მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) დოქტორანტის სტატუსის 5 წელზე მეტი ხნით შეჩერება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) სწავლის შედეგების მიუღწევლობა პროგრამაზე სწავლების 10 წლის განმავლობაში, განსაკუთრებულ შემთხვევებს განიხილავს აკადემიური საბჭო;

დ) პირადი განცხადება;

ე) უნივერსიტეტის დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება;

ვ) სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი (უარყოფითი) გადაწყვეტილება;

ზ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა;

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

თავი IV. სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ადმინისტრირება

მუხლი 14. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი; უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ასევე სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა.

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დადასტურდეს ბოლო 3

წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით ან/და ორაქტიკული შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რითაც დასტურდება მისი კომპეტენტურობა შესაბამის სფეროში.

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ჰქონდეს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი.

მუხლი 15. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო

1. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე არანაკლებ 3 წევრისგან, ხოლო თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში - არანაკლებ 4 წევრისგან. საბჭოს შემადგენლობაში შედიან დოქტორანტის ხელმძღვანელი, საკვლევი თემის შესაბამისი მიმართულების/დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შესაბამისი დარგის სპეციალისტი და თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში). თუ დოქტორანტის ხელმძღვანელი იმავდროულად არის მიმართულების/დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრად განისაზღვრება შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი. პირველივე სხდომაზე საბჭო შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც არ არის დოქტორანტის ხელმძღვანელი.

2. შესაბამისი სკოლა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ოქმების წარმოების მიზნით ახორციელებს სხდომის მდივნის გამოყოფას, რომელიც მომზადებულ დოკუმენტაციას აწვდის შესაბამის სამსახურებს. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომის მდივანს ხმის უფლება არ გააჩნია.

3. დოქტორანტის ან/და სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დოქტორანტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობის შეცვლა ანდა საბჭოს წევრის დამატება.

4. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი ერთდროულად შეიძლება იყოს რამდენიმე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს/სადისერტაციო საბჭოს წევრი.

5. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა, დოქტორანტის ჩარიცხვისას, იმართება პირველი სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა; მომდევნო სემესტრებიდან, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა იმართება სემესტრში არანაკლებ ერთხელ, არაუგვიანეს მომდევნო სემესტრის დაწყებამდე; სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე მტკიცდება დოქტორანტსა და ხელმძღვანელს შორის შეთანხმებული სასწავლო/კვლევითი კომპონენტების გეგმა ან/და განიხილება

წინა სემესტრის განმავლობაში დოქტორანტის მიერ მიღწეული შედეგები და გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო შესაბამისი ოქმით დამტკიცებულ სასავლო/კვლევითი კომპონენტების გეგმას მისი მიღებიდან არაუგვიანეს 7(შვიდი) კალენდარული დღის ვადაში წარუდგენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს.

6. შესაბამისი სკოლის საბჭო ამტკიცებს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესს (დანართი N 4 - სამართლის სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობსი წესი, N 5 - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი და და სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული მოთხოვნები, დანართი N 6 - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის წესი, ძირითადი ეტაპები და მოთხოვნები, დანართი N 7 - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლაში სადოქტორო ნაშრომის შესრულებისას ტექნიკური გაფორმების თავისებურებანი, დანართი N 8 - ბიზნესის და ადმინისტრირების მეცნიერებათა სკოლის სადოქტორო ნაშრომის კვლევის პროტოკოლი, დანართი N 9 - ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი და კვლევითი კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები), რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები: 1. დოქტორანტის მიერ სამეცნიერო სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნებისას, დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, მისი სამეცნიერო ღირებულების და გამოქვეყნების მიზანშეწონილობის დადგენა; 2. დოქტორანტის მიერ სამეცნიერო სემინარის ჩატარებისას, მისი სამეცნიერო მიზანშეწონილობის შეფასება; 3. დოქტორანტის მიერ კონფერენციაში მონაწილეობისას, მისი მიზანშეწონილობის დადგენა. აღნიშნული წინამდებარე დებულებასთან ერთად წარმოადგენს საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტებს.

მუხლი 16. ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი

1. დოქტორანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სუ-ს აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალი; ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულებას; განსაზღვრავს დოქტორანტის კვლევის მიმართულებას, ახდენს კვლევის შედეგებისა და სადისერტაციო ნაშრომის მონიტორინგს, აძლევს რჩევებს კვლევის მეთოდებისა და მონაცემთა ანალიზის თაობაზე, მასთან ერთად განიხილავს დოქტორანტის კვლევის შედეგებს და სტატიებს.

2. დოქტორანტის ხელმძღვანელს უფლება აქვს ერთდოულად უხელმძღვანელოს უნივერსიტეტის არაუმეტეს 3 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს; დასაშვებია 5 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტის ხელმძღვანელობა, როდესაც სტატუს-შეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის

მისანიჭებლად დისერტაციის წარდგენის მიზნით. ზემოაღნიშნული რაოდენობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე.

3. კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტთან კვლევის საკითხებზე ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. დოქტორანტის კონსულტირება მოიცავს მათ შორის შემდეგ საკითხებს: კვლევის დიზაინი/პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და ა.შ.

4. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, სკოლის საბჭო უფლებამოსილია დანიშნოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანახელმძღვანელი. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

5. კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დოქტორანტის კვლევის პროცესში უცხოელი ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ჩართულობა.

6. დოქტორანტის ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხი, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრეინინგი, სემინარი, პროფესიული განვიარების კურსი და ა.შ.), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და ბოლო 3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს. წინამდებარე დებულების მე-5 მუხლის მე-5 (ა) პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შემთხვევაში, სკოლის საბჭო ვალდებულია სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად დანიშნოს თავდაპირველი დოქტორანტურის პროგრამაზე დოქტორანტის სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი.

7. თანახელმძღვანელის დანიშვნის შემთხვევაში, მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს. თანახელმძღვანელის პროფესიული კვალიფიკაციის მიმართ მოქმედებს წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 17. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო და იქმნება სკოლის საბჭოს მიერ, ნაშრომის წინასწარი დაცვის შემდეგ, 5 სამუშაო დღის განმავლობაში, წინასწარი დაცვის ოქმის საფუძველზე.

2. სადისერტაციო საბჭო შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 7 წევრისგან. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები (გარდა დოქტორანტის ხელმძღვანელისა/თანახელმძღვანელისა), 2 ექსპერტი და უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად ასრულებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

3. დოქტორანტს უფლება აქვს მიმართოს შესაბამის სკოლის საბჭოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სადისერტაციო საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება.

4. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დოქტორანტის მიერ არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.

6. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დოქტორანტის მიერ სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

7. წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, დოქტორანტი უფლებამოსილია აირჩიოს ახალი სადისერტაციო ნაშრომი წინამდებარე დებულებით დადგენილ ვადებში გამოცხადებული საკვლევი თემატიკის ფარგლებში და დაიცვას სადისერატაციო ნაშრომის შესრულების ყველა ეტაპი.

მუხლი 18. ექსპერტი

1. ექსპერტი არის თემის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და არ არის საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი.

2. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისას მოიწვევა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები:

ა) ადგილობირვი ექსპერტი არის ადგილობირვი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი ან ემირიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ

საერთაშორირისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

ბ) საერთაშორისო ექსპერტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი ან ემირიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორირისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

2. ექსპერტები მოიწვევა სკოლის საბჭოს მიერ სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრისას. ექსპერტების შერჩევის პროცესი უნდა იყოს გამჭირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური; უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ექსპერტთა ანონიმურობა, რაც გულისხმობს მათი კონფიდენციალურობის დაცვას დოქტორანტისა და მისი ხელმძღვანელისათვის/თანახელმძღვანელისათვის დასკვნის გაცნობამდე. სკოლის საბჭო ითვალისწინებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს, თუ პირმა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის საკითხზე დადებითი/უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეიძლება მიიღოს რაიმე სახის პირადი სარგებელი, ან მის მიერ სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ნაშრომის დაცვის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე.

მუხლი 19. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი

1. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი ესწრება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს ხმის უფლების გარეშე, როგორც სხდომის მდივანი, აფორმებს ოქმებს. იგი პასუხისმგებელია დოქტორანტის და საბჭოს წევრების ინფორმირებულობაზე და დოკუმენტაციის შენახვაზე.

მუხლი 20. სადისერტაციო ნაშრომის რედაქტორი

1. უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი, წინასწარი დაცვის შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე ამოწმებს ნაშრომის ფორმატის APA–ს სტილის (დანართი N 10 - მოთხოვნები ნაშრომის გაფორმების მიმართ - APA სტილი) ან შესაბამისი სკოლის ან კვლევითი ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული სტილის (დანართი N 11 - სამართლის სკოლის სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი და შეფასების კრიტერიუმები; დანართი N 7 - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების

სკოლაში სადოქტორო ნაშრომის შესრულებისას ტექნიკური გაფორმების თავისებურებანი) სტანდარტებთან შესაბამისობას და გასცემს შესაბამის დასკვნას, დოქტორანტის მიერ კორექტირების ვადის მითითებით; აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ დოქტორანტი კორექტირებულ ნაშრომს კვლავ უგზავნის საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს, რომელსაც თან ახლავს პლაგიატის დაშვებული პროცენტულობის დამადასტურებელი მტკიცებულება (20% - თითოეულ მიმართულებაზე და ამავდროულად, თითეული წყაროდან - არაუმეტეს 4%) და მიღებული საბოლოო თანხმობის შემდეგ, ნაშრომს აგზავნის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთან.

მუხლი 21. ჰუმანურ საკითხთა საბჭო

1. დოქტორანტი ვალდებულია ჰუმანურ საკითხთა საბჭოს წარუდგინოს ინფორმაცია საკვლევად გამზადებული კითხვარის, ტესტის, ლაბორატორიული/საველე კვლევების, ექსპერიმენტების, თუ სხვა აქტივობების შესახებ, რომლის გამოყენებითაც იგი აპირებს კვლევის ჩატარებას. საბჭო ამოწმებს, ხომ არ ილახება ადამიანის უფლებები და მათი ღირსება, არ ირღვევა ეთიკის ნორმები, არ ადგება ზიანი მათ სიცოცხლეს და კეთილდღეობას, არ ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა და საქართველოს უნივერსიტეტის მიერ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპები. საბჭო აღნიშნულის შესაბამისად ამტკიცებს დოქტორანტის კვლევის ინსტრუმენტს.

2. ჰუმანურ საკითხთა საბჭოს იქმნება შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ და შემადგენლობაში შედიან: საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორანტის ხელმძღვანელი, შესაბამისი დარგის 2 (ორი) სპეციალისტი. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა. საბჭოს სხდომას ესწრება და ოქმს აფორმებს სხდომის მდივანი, რომელიც აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან.

3. ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის დოქტორანტი ვალდებულია ბიოეთიკის საბჭოს (დანართი N 12 - საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ბიოსამედიცინო კვლევების ეთიკურ საკითხთა საბჭოს წესდება) წარუდგინოს ინფორმაცია საკვლევად გამზადებული კითხვარის, ტესტის, ლაბორატორიული/საველე კვლევების, ექსპერიმენტების, თუ სხვა აქტივობების შესახებ, რომლის გამოყენებითაც იგი აპირებს კვლევის ჩატარებას. საბჭო ამოწმებს, ხომ არ ილახება ადამიანის უფლებები და მათი ღირსება, არ ირღვევა ეთიკის ნორმები, არ ადგება ზიანი მათ სიცოცხლეს და კეთილდღეობას, არ ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა და საქართველოს უნივერსიტეტის მიერ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპები. საბჭო აღნიშნულის შესაბამისად ამტკიცებს დოქტორანტის კვლევის ინსტრუმენტს.

4. საბჭოს ნებართვას დოქტორანტი წარუდგენს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წინასწარ განაცხადამდე.

მუხლი 22. სადისერტაციო ნაშრომის შესახებ ინფორმაციის გავრცელება

1. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის შესახებ ინფორმაციის (ავტორეფერატი და სადისერტაციო საბჭოზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის/ადგილის თაობაზე ინფორმაცია) განთავსებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობას. შესაბამისი სკოლა უზრუნველყოფს დაცვის მთელი მსვლელობის აუდიო-ვიდეო ჩაწერას, რომელიც ინახება შესაბამის სკოლაში. შესაბამისი სკოლა ასევე უზრუნველყოფს დაცული სადისერტაციო ნაშრომებისა და ავტორეფერატების შენახვას.

2. ამ დებულების შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა და დოქტორანტისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის და ავტორეფერატის ელექტრონული ვერსიის ატვირთვას უნივერსიტეტის ოფიციალურ გვერდზე და ასევე ბეჭდური სახით მის მიწოდებას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის.

თავი V. შეფასების სისტემა

მუხლი 23. შეფასების სისტემა

1. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას / 100%. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია მაქსიმალური შეფასების 51% - 51 ქულა;

2. სასწავლო კომპონენტების შეფასება ხდება როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებებით, ხოლო კვლევითი კომპონენტების შეფასება ხდება დასკვნითი შეფასებით.

3. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:	
ა) ფრიადი (summacumlaude) - შესანიშნავი ნაშრომი;	91% და მეტი;
ბ) ძალიან კარგი (magnacumlaude) - შედეგი,რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;	81-90%;
გ) კარგი (cumlaude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;	71-80%;
დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;	61-70%;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად,	51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;	41-50%,
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (subomnicanone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.	<40%

4. დოქტორანტის სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა:

შედეგების საშუალო	საუნივერსიტეტო შეფასება	საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება	
97-100	A+	A	ფრიადი
94-96	A		
91-93	A-		
87-90	B+	B	ძალიან კარგი
84-86	B		
81-83	B-		
77-80	C+	C	კარგი
74-76	C		
71-73	C-		
67-70	D+	D	დამაკმაყოფილებელი
64-66	D		
61-63	D-		
51-60	E	E	საკმარისი
უარყოფითი შეფასება			
41-50	FX	FX	ვერ ჩააბარა
<40	F	F	ჩაიჭრა

5. სტუდენტი მონაწილეობს პროგრამის და/ან პროგრამის კომპონენტის, სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის შეფასებაში, რისთვისაც სემესტრულად ავსებს შეფასების კითხვარს.

მუხლი 24 - სასწავლო კომპონენტის შეფასების გასაჩივრება

1. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს საკუთარ ნაშრომს და გაასაჩივროს სასწავლო კომპონენტის შუალედურ შეფასებაში მიღებული შედეგი, „ჩემი UG“ სისტემაში ასახვიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში (შედეგის ასახვის დღე ითვლება პირველ დღედ).

2. სტუდენტი „ჩემი UG“–ის მეშვეობით ნაშრომის მიღების მიზნით და გასაჩივრებისას განცხადებით მიმართავს საკუთარი სკოლის დირექტორს, რომელიც განცხადებას გადაამისამართებს შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან.

შუალედური შეფასების გასაჩივრების დასაშვებობაზე გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

3. დოქტორანტი უფლებამოსილია სასწავლო კომპონენტის დასკვნით შეფასებაში მიღებული შედეგის „ჩემი UG“ სისტემაში ასახვიდან არაუგვიანეს მეორე დღისა განცხადებით მიმართოს საკუთარი სკოლის დირექტორს და გაასაჩივროს გამოცდის შედეგი. სკოლის დირექტორი განცხადებას გადაამისამართებს შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გასაჩივრების დასაშვებობის თაობაზე.

4. დოქტორანტმა განცხადებაში დასაბუთებულად უნდა მიუთითოს თუ შეფასების რა ნაწილს (შინაარსობრივი მხარე, პრეზენტაცია) აპროტესტებს. ზოგადი საჩივარი არ მიიღება.

5. დოქტორანტის განცხადების საფუძველზე, დეპარტამენტის ხელმძღვანელი არაუმეტეს 2 კალენდარული დღის ვადაში, კომპეტენციის ცენტრისადმი აყენებს მოთხოვნას გასაჩივრების კომისიის შექმნის შესახებ.

6. კომპეტენციის ცენტრი, დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს შესაბამისი გასაჩივრების კომისიის შედგენას, გასაჩივრებული ნაშრომის განხილვას და შედეგების სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელისათვის მიწოდებას, მიმართვიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური უზრუნველყოფს „ჩემი UG“ სისტემაში შესაბამისი შედეგის ასახვას 1 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. გასაჩივრების კომისიის აუცილებელი წევრებია: შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, კომპონენტის კურატორი (მისი არ ყოფნის შემთხვევაში იმავე კომპონენტის განმახორციელებელი სხვა პროფესორი). კომისიის სხვა წევრებს წარმოადგენენ ამავე კომპონენტის განმახორციელებელი სხვა პროფესორი, კომპონენტის მიმწოდებელი კომპეტენციის ცენტრის პროფესორი.

9. გასაჩივრების კომისიის სხდომა ოქმდება. სხდომის თავმჯდომარეა იმ პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის სტუდენტის მიერაც მოხდა შეფასების ფორმის გასაჩივრება (კომისიის სხდომაზე დეპარტამენტის უფროსის ან სკოლის დირექტორის დასწრების შემთხვევაში - იერარქიის შესაბამისად). თუ გასაჩივრდა სხვა დეპარტამენტის პროგრამის კომპონენტის შეფასების ფორმა, სხდომას უძღვება კომპეტენციის მიმწოდებელი დეპარტამენტის უფროსი (სკოლის დირექტორის მონაწილეობის შემთხვევაში - სკოლის დირექტორი). სხდომის მდივანია დეპარტამენტის/სკოლის მენეჯერი.

მუხლი 25. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტის დამატებითი შეფასების ადმინისტრირება

1. დამატებით შეფასებაზე დაიშვება სტუდენტი თუ ის აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

ა) შესაბამის კომპონენტში შეფასებათა ერთობლიობით უგროვდება არანაკლებ 41 ქულა და დასკვნითი შეფასება უარყოფითია (FX), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებითი შეფასების მიღების შესაძლებლობა;

ბ) საპატიო მიზეზით (მუხლი 24, პუნქტი 5.) ვერ მიიღო დასკვნითი შეფასება და დამატებითი შეფასების განხორციელების დღიდან არაუგვინეს მე-2 დღეს წარმოადგინა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

გ) არასაპატიო მიზეზით ვერ მიიღო დასკვნითი შეფასება და წარმოადგინა დამატებითი შეფასების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. დამატებითი შეფასების საფასურის ოდენობა დგინდება საფინანსო-სამეურნეო დარგში პრორექტორის განკარგულებით.

2. სტუდენტის მიერ „ჩემი UG“-ის მეშვეობით განცხადების წარდგენა ხორციელდება ძირითადი შეფასების განხორციელების დღიდან არაუგვინეს მე-2 დღეს, საკუთარი სკოლის დირექტორის სახელზე, რომელიც განცხადებას გადაამისამართებს შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან. დამატებითი შეფასების მიღების შესაძლებლობა სტუდენტს ეძლევა განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში (განცხადების წარდგენის დღე ითვლება პირველ დღედ).

3. დამატებითი შეფასების მიღების შესაძლებლობა სტუდენტს ეძლევა ერთხელ.

თავი VI. დოქტორანტის დატვირთვა, სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

მუხლი 26. სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ადმინისტრირება

1. დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით გათვალისწინებული შეხვედრების გრაფიკი დგინდება ყოველი სემესტრის დაწყებამდე; სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული შეხვედრების დღეებს დოქტორანტი ირჩევს აკადემიური რეგისტრაციის დროს, ხოლო კვლევითი კომპონენტით გათვალისიწნებულ შეხვედრების დღეებს ინდივიდუალურად ათანხმებს ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან (კვირაში - 2 საათი). დოქტორანტურის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო/კვლევითი კომპონენტების დამტკიცება/განხილვა ხორციელდება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე.

2. დოქტორანტთან საკონსულტაციო შეხვედრები ტარდება უნივერსიტეტში; შესაძლებელია მოდულის ხელმძღვანელის ქვეყანაში არყოფნის შემთხვევაში გამოყენებულ იქნას ელექტრონული ტექნოლოგიების/ელექტრონული კომუნიკაციის სისტემები.

3. დოქტორანტის სემესტრული გრაფიკი დგება წინამდებარე დებულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
4. დოქტორანტი, საკონსულტაციო ან სასემინარო შეხვედრის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, უფლებამოსილია მომდევნო 1 კვირის ვადაში განახორციელოს შესაბამისი კომპონენტის აღდგენა. დოქტორანტი „ჩემი UG"-ის სისტემის მეშვეობით განცხადებით მიმართავს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს შესაბამისი კომპონენტის თარიღიდან არაუგვიანეს 1 კალენდარული დღისა.
5. საპატიო მიზეზად შესაძლოა ჩაითვალოს:
(ა) ჯანმრთელობის მდგომარეობა
(ბ) ახლობლის გარდაცვალება
(გ) სახელმწიფო და კერძო სამსახურში გამოცხადების აუცილებლობა
(დ) საკუთარი ან ოჯახის წევრის ქორწილი
(ე) შვილის შეძენა
(ვ) ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა
(ზ) სამსახურებრივი მივლინება
(თ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა
(ი) სხვა ობიექტური გარემოება, რასაც ადმინისტრაცია მიიჩნევს საპატიოდ.
6. დოქტორანტურის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო/კვლევითი კომპონენტების დამტკიცება/განხილვა ხორციელდება წინამდებარე დებულების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბასად.
7. ნაშრომის სახელწოდების დაზუსტება შესაძლებელია სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოზე სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ დაცვამდე ნებისმიერ დროს, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთან შეთანხმებით, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ოქმის საფუძველზე, ხოლო სახელწოდების არსებითი შეცვლა - დოქტორანტის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე კვლევითი კომპონენტების დაწყებამდე. სახელწოდების არსებითი შეცვლის შემთხვევაში, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს ახალი კონცეფცია ამ დებულებით განსაზღვრული წესის დაცვით.
8. სადისერტაციო საბჭოზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის აუცილებელია დოქტორანტს სწავლების პერიოდში შესაბამის კვლევის სფეროში გამოქვეყნებული ჰქონდეს არანაკლებ 2 სამეცნიერო სტატია, მათ შორის 1 სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში (საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების ჩამონათვალი, რომელშიც ინდექსირებულია რეფერირებადი (peer-reviewed) ჟურნალი, განისაზღვრება სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის მიერ, რომელსაც ინფორმაცია მიეწოდება უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით); ჩატარებული ჰქონდეს არანაკლებ 2 სამეცნიერო სემინარი უნივერსიტეტის შესაბამის აკადემიურ პერსონალთან (აღნიშნული

დასტურდება შესაბამისი სკოლის ოქმით) და მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული არანაკლებ 1 კონფერენციაში. სტატიასთან/პუბლიკაციასთან/კონფერენციასთან/სემინართან დაკავშირებული კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი დოქტორანტურის პროგრამით.

9. საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება ითვალისწინებდნენ ამ დებულების შემავსებელ და განსხვავებულ რეგულაციებსაც. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ადმინისტრირება რეგულირდება პროგრამების შესაბამისად.

მუხლი 27. დოქტურანტურის პროგრამის სტუდენტისათვის გრანტის გაცემის წესი

1. დოქტორანტი უფლებამოსილია მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად. კვლევითი კომპონენტის შემადგენელი აქტივობები მოიცავს დოქტორანტის სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების, სამეცნიერო მობილობის და სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის საჭირო ქმედებებს.

2. გრანტის მიღების უფლებამოსილება აქვს იმ დოქტორნატს, რომლის სწავლის წლიური საფასური 3000 ლარი და მეტია.

3. დოქტორანტს შეუძლია სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობის მიზნით, მოითხოვოს სწავლის სრული საფასურის 1/3-ის ოდენობით გრანტის გაცემა დოქტორანტურის სრული ციკლის განმავლობაში, რაც გულისხმობს უნივერსიტეტში სტუდენტის აქტიური სტატუსის ქონას.

4. გრანტის მისაღებად დოქტორანტი, სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, განცხადებით მიმართავს შესაბამის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს.

5. გრანტის მიღების მიზნით, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წინაშე ხორციელდება დოქტორანტის ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა სამეცნიერო აქტივობის მნიშვნელობის და დოქტორანტის საკვლევი თემასთან მისი კავშირის შესახებ; აგრეთვე დოქტორანტის მიერ ტარდება შესაბამისი სამეცნიერო სემინარი, სადაც წარდგენილი უნდა იქნას შესაბამისი სამეცნიერო აქტივობა. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, საბჭოს დასაბუთებული შუამდგომლობა განსახილველად გადაეცემა უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს.

6. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ამოწმებს დოქტორანტის საკვლევი თემატიკის შესაბამისობას სამეცნიერო აქტივობასთან. მათ შორის:

ა) სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალის ავტორიტეტს და პრესტიჟულობას, მის შესაბამის სამეცნიერო ბაზებში (Scopus, Web of Science და ა.შ) რეიტინგს, ციტირების ინდექსებს და სხვ.

ბ) სამეცნიერო მობილობის შემთხვევაში, შესაბამისი სამეცნიერო კონფერენციის თემატიკას, მის სამეცნიერო ღირებულებას, კონფერენციაში დოქტორანტის მონაწილეობის სტატუსს (მომხსენებელი, მოდერატორი, მონაწილე) და კონფერენციის სამეცნიერო შედეგებს (გამოქვეყნება, სამეცნიერო თეზისების ან პუბლიკაციის ფორმით დაბეჭდვა და ა.შ).

გ) სამეცნიერო ექსპერიმენტის შემთხვევაში, ექსპერიმენტისთვის საჭირო აპარატურის ან მასალის ავთენტურობას განსახორციელებელ კვლევასთან.

7. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაცია გადაეცემა იურიდიულ სამსახურს დაფინანსების შესახებ ბრძანების მომზადების მიზნით.

8. საფინანსო სამსახურს დაფინანსების ბრძანებასთან ერთად უნდა წარადგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც განხორციელდება თანხის შესაბამისი ოდენობის ჩარიცხვა.

9. დოქტორანტის მიერ გრანტის მიღების პროცედურა არ უნდა აღემატებოდეს 45 (ორმოცდახუთ) კალენდარულ დღეს.

10. სამეცნიერო აქტივობის დასრულების შემდეგ, დოქტორანტი ვალდებულია სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინოს შესაბამისი პრეზენტაცია (სემინარი) განხორციელებული აქტივობის შედეგების შესახებ.

მუხლი 28. სადისერტაციო ნაშრომის ტექსტის მომზადება

1. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომლესაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად; დისერტაცია უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას; დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო ავტორეფერატი ქართულ და ინგლისურ ენებზე; ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. სადისერტაციო ნაშრომის ტექსტი მზადდება APA–ს სტილის/შესაბამისი სკოლის მიერ განსაზღვრული სტილის შესაბამისად.

2. ამ დებულების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთვის გადაგზავნამდე, ხელმძღვანელის მიერ გაცემულ დასკვნაში უნდა აისახოს, რომ სადისერტაციო ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატის ნიშნებს.

3. APA სტილთან/შესაბამისი სკოლის მიერ განსაზღვრულ სტილთან სადისერტაციო ნაშრომის შესაბამისობის დადგენის შემდეგ, დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარს (ელექტრონული სახით) უგზავნის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებს.

მუხლი 29. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა

1. დოქტორანტი დაცვამდე არაუგვიანეს 2 თვისა, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებს ელექტრონულად უგზავნის ხელმძღვანელის მიერ დადასტურებულ სადისერტაციო ნაშრომს.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე არაუგვიანეს 6 კვირისა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ნიშნავს წინასწარი დაცვის სხდომას. წინასწარი დაცვის სხდომის თარიღს დოქტორანტს და საბჭოს წევრებს აცნობებს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი.

3. წინასწარ დაცვაზე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო თავდაპირველად ამოწმებს ამ დებულებითა და დოქტორანტურის შესაბამისი პროგრამით განსაზღვრულ სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე (სადისერტაციო საბჭოზე ნაშრომის დაცვა) დაშვების წინაპირობების შესრულების მდგომარეობას. ყველა წინაპირობის არარსებობის შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარე ნიშნავს წინასწარი დაცვის სხდომის ახალ თარიღს, ხოლო წინაპირობების შესრულების შემთხვევაში, წინასწარ დაცვაზე საბჭო ეცნობა დოქტორანტის მიერ შესრულებულ ორენოვან (ქართულ და ინგლისურ ენებზე შესრულებულ) ავტორეფერატსაც. უნივერსიტეტის/შესაბამისი სკოლის მიერ დადგენილი ავტორეფერატის შესრულების ინსტრუქცია მოცემულია დანართი N 13-ის (ავტორეფერატის შესრულების ინსტრუქცია და დანართი N 14-ის (სადისერტაციო მაცნეს შესრულების ინსტრუქცია) შესაბამისად.

4. შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ შესაძლებელია განისაზღვროს სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე/სადისერტაციო საბჭოს წინაშე დაცვაზე დაშვების დამატებითი წინაპირობები.

5. წინასწარ დაცვაზე დოქტორანტის მოხსენების ხანგრძლივობა განისაზღვრება 20-30 წუთით.

6. საბჭო დოქტორანტს აძლევს რეკომენდაციებს ნაშრომის სრულყოფის მიზნით.

7. წინასწარი დაცვის ოქმის გათვალისწინებით, შესაბამისი სკოლის საბჭო განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას და დისერტაციის დაცვის დაზუსტებულ თარიღს.

8. დოქტორანტი, მე-19 და 25-ე მუხლების შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომის რედაქტორის მიერ დასკვნის გაცემის შემდეგ, გასწორებულ ნაშრომს უგზავნის საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს. მენეჯერი დაუყოვნებლივ უგზავნის სადისერტაციო საბჭოს წევრებს ნაშრომის ელექტრონულ ვერსიებს.

9. სადისერტაციო საბჭოს ექსპერტები ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა წარადგენენ წერილობით დასკვნას, რომელშიც გამოკვეთილი იქნება ნაშრომის როგორც დადებითი მხარეები, ასევე ხარვეზები. დასკვნაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს იმსახურებს თუ არა დოქტორანტი ხარისხს. დასკვნის საფუძველზე დოქტორანტს ეძლევა 5 სამუშაო

დღის ვადა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად ან პასუხების მოსამზადებლად. დოქტორანტს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა უფლება ნაშრომის საჯარო დაცვისა, თუ ექსპერტთა არანაკლებ ნახევრის მიერ წარმოდგენილი წერილობითი დასკვნა არის დადებითი.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ და ნაშრომის დაცვამდე 3 სამუშაო დღით ადრე დოქტორანტი საბჭოს წევრებს და საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს ელექტრონულად უგზავნის ნაშრომის საბოლოო ვარიანტს.

11. სადისერტაციო საბჭოზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის აუცილებელია დოქტორანტს დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლების პერიოდში შესაბამის საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ჰქონდეს არანაკლებ 2 სტატია/პუბლიკაცია, ჩატარებული ჰქონდეს არანაკლებ 2 სამეცნიერო სემინარი უნივერსიტეტის შესაბამის აკადემიურ პერსონლათან და მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული არანაკლებ 1 კონფერენციაში. სტატიასთან/პუბლიკაციასთან/კონფერენციასთან/სემინართან დაკავშირებული კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი დოქტორანტურის პროგრამით.

12. საგანმანათლებლო პროგრამები შესაძლოა ითვალისწინებდნენ წინამდებარე დებულების შემავსებელ და განსხვავებულ რეგულაციებსაც. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ადმინისტრირება რეგულირდება პროგრამების შესაბამისად.

13. სადისერტაციო საბჭოზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და მას შეიძლება დაესწროს ნებისმიერი ფიზიკური პირი. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დასწრების მსურველ პირთა დიდი რაოდენობის შემთხვევაში, რის გამოც შეუძლებელია ნაშრომის დაცვისთვის განსაზღვრულ ადგილას (აუდიტორია, დარბაზი და სხვა) მათი განთავსება, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეზღუდოს დაინტერესებულ პირთა დასწრება ნაშრომის დაცვაზე.

მუხლი 30. კურსდამთავრებულთა ცერემონიალში მონაწილეობა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

1. დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლება დასრულებულად ითვლება და დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტმა წარმატებით დაძლია დოქტორანტურის პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი (სასწავლო და კვლევითი კომპონენტები), შეასრულა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ყველა მოთხოვნა და სადისერტაციო საბჭოს მიერ მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2. დიპლომისა და დიპლომის დუბლიკატის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კურსდამთავრებულთა ცერემონიალში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი.

4. დოქტორანტი, რომელმაც წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, უფლებამოსილია შეიძინოს/იქირაოს მანტია და ქუდი და სურვილის შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს კურსდამთავრებულთა ცერემონიალში.

თავი VII. კოლეგიური ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წესი

მუხლი 31. კოლეგიური ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წესი

1. კოლეგიური ორგანო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კოლეგიური ორგანოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო სადისერტაციო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მის სხდომას (სადისერტაციო ნაშრომის დაცვას) ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 4/5. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

[2]. თუ კოლეგიური ორგანოს სხდომაზე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება კენჭისყრის ფარულად ჩატარების შესახებ, კენჭისყრა არის ღია.

3. კოლეგიური ორგანოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ადგენს სხდომის მდივანი. ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი. ოქმს დანართის სახით ერთვის სხდომაზე დამსწრე პირთა დასწრების ფურცელი, რომელსაც ხელს აწერენ დამსწრე პირები.

4. ამ მუხლით დადგენილი წესები მოქმედებს, თუ ამ დებულებით სხვა რამ არის განსაზღვრული.

მუხლი 32. დებულებაში ცვლილებების შეტანა

1. წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული რეგულაციები, რომელიც შეეხება სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო-დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს, გავრცელდეს 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე.

დანართები

N 1 - კონცეფციის შესრულების კრიტერიუმები
N 2 - კონცეფციის შესრულების კრიტერიუმები სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში
N 3 – კონცეფციის შესრულების კრიტერიუმები ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში
N 4 - სამართლის სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი
N 5 – სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი
N 6 – ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი
N 7 – მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი
N 8 – ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი
N 9 – ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი
N 10 - მოთხოვნები ნაშრომის გაფორმების მიმართ -APA სტილი
N 11 – სამართლის სკოლის სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი და შეფასების კრიტერიუმები
N 12 - ბიოეთიკის საბჭოს დებულება
N 13 - ავტორეფერატის შესრულების ინსტრუქცია.
N 14 - ავტორეფერატის შესრულების ინსტრუქცია ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში